

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის
საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი №1.8 განსაზღვრული „ერთ/ორკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის და რესინქრონიზატორ-დეფიბრილატორის“ სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ 2020 წლის 14 ივლისს გამოცხადდა №NAT200009981 ელექტონული ტენდერი. აღნიშნული შესყიდვის პროცედურების განხორციელების პროცესში, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის 2020 წლის 2 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით, შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს და სერვისს“ მიენიჭა დისკვალიფიკაცია შემდეგ გარემოებათა გამო: სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა - ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ, ითვალისწინებდა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საქონელზე (კომპლექტის შემადგენელ თითოეულ პოზიციაზე: გენერატორებზე, ელექტროდებზე, ინტროდუსერებზე, კორონალური სინუსის მიმწოდებელ სისტემებზე, სუბ სელექციურ კათეტერებზე, კორონალური სინუსის ბალონურ კათეტერებზე) CE ან FDA სერთიფიკატების არსებობას, რაც განსახილველ შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ - არ არის შესრულებული. კერძოდ, სისტემაში არა აქვს ატვირთული გენერატორის (Mirro MRI VR; Mirro MRI DR) სერთიფიკატი, რაც შემოთავაზებული საქონლის ხარისხის დასადასტურებლად ძირითადი და არსებითი მნიშვნელობისაა, მათ შორის სერთიფიკატის წარმოდგენის საჭიროება განპირობებულია სათანადო გარანტიის არსებობით, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტი დასტურდება, დარგის სპეციალისტის და კომისიის საქმიანობაში მოწვეული ექსპერტის, ბატონი გიორგი პაპიაშვილის მიერ.

შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების და სერვისის“ მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს წარდგენილი №DET200009981_01(NAT) საჩივარი მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს და არ არის სათანადოდ დასაბუთებული, ვინაიდან საყურადღებოა, რომ დადგენილ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული პირობა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ერთგვაროვნად და იმპერატიულად არის ჩამოყალიბებული პრეტენდენტის მიერ შესასრულებელი მოთხოვნა, კერძოდ: 2.7.1 პუნქტი განსაზღვრავს „შემოთავაზებულ საქონელს უნდა გააჩნდეს CE ან FDA სერთიფიკატი (იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტაცია არის უცხოურ ენაზე, მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი)“, რაც ნებისმიერი გონივრული ვარაუდის შემთხვევაში მოიცავს წარმოდგენის ვალდებულებას და მხარეს, წარმოდგენასთან ერთად უდგენს წარმოდგენის პირობას, რომ განსახილველი დოკუმენტი იქნეს შესაფასებლად დაშვებული. აღნიშნულ პირობასთან დაკავშირებით, პრეტენდენტი საჩივარში აღნიშნავს, რომ „სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტით არ იყო მოთხოვნილი სერთიფიკატების წარმოდგენა, აღნიშნული პუნქტის მიხედვით - " შემოთავაზებულ საქონელს უნდა გააჩნდეს CE ან FDA სერთიფიკატი", რითაც დამახინჯებული წინადადების ზემოთხსენებული კონტექსტი და წინადადებით: „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N 12-ის 25-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული სატენდერო პირობებით, ასევე, დაუშვებელია პრეტენდენტს ხარვეზად ჩათვალოს ისეთი გარემოება, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული სატენდერო პირობებით“, ახდენს პირობის არასათანადო ინტერპრეტაციას.

ასევე, მნიშვნელოვანია პირობა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის 2020 წლის 24 აგვისტოს №2 სხდომის ოქმით მოთხოვნილია, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მხოლოდ ზემოთხსენებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის (დაზუსტება) პირობა, რომელიც ემსახურება პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადების შესაბამისობის შეფასებას სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგენს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების სატენდერო პირობით განსაზღვრული მოთხოვნების როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური დაკმაყოფილების ფაქტს.

სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ უნდა განხორციელებულიყო მოთხოვნილი სერტიფიკატების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული პორტალის საშუალებით და არ ითვალისწინებდა, რომელიმე სხვა ფორმით ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის ინტერნეტ რესურსების მითითებას, თუმცა წინადადებების წარმოდგენის რომელიმე ეტაპზე არც აღნიშნული განხორციელებულა პრეტენდენტის მიერ.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში დაფიქსირებულ ყველა საქონელთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ატვირთულია სათანადო სერტიფიკატი, გარდა გენერატორისა (Mirro MRI VR; Mirro MRI DR), რაც უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური სერტიფიკატის სახით წარმოდგენილი და არა, საჩივრის ავტორის განმარტებით, რომელიმე პროგრამის სერტიფიკატით დადასტურებული ჩატვრთვის ფორმატში (software) განსაზღვრული, რასთან დაკავშირებითაც მომჩივნის პოზიციით აღნიშნული დოკუმენტიც დასტურდება წარმოდგენილი პროგრამის სერტიფიცირება, თუმცა სატენდერო კომისიის მოსაზრებით, აღნიშნული წინადადება არ შეესაბამება სატენდერო პირობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის 2020 წლის 2 სექტემბრის #3 სხდომის ოქმით, შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების და სერვისის“ მინიჭებული დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთებულია და არ შეიცავს, როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ უსწორობას. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ განსახილველი საჩივარი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.